თამარ ღვინიანიძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქუთაისი, საქართველო
https://doi.org/10.52340/lac.2023.08.88

ზოგადმიმოხილვითი ხასიათის ლექციების მნიშვნელობა საშუალო საფეხურზე ქართული ლიტერატურის სწავლებისას

ზოგადმომოხილვითი ლექციები მასწავლებელს საშუალებას აძლევს აგრძნობინოს მოსწავლეებს თავისი მაღალი ოსტატობა, სიტყვის ემოციური და იდეური ძალა, მისცეს ამა თუ იმ საკითხის გარშემო მწყობრი, გამართული, თანმიმდევრული მეტყველების ნიმუში. მდიდარ ფაქტებზე აგებული ლექცია-საუბარი შეიძლება შეეხებოდეს ისტორიული ეპოქის, მწერლის შემოქმედებითი ბიოგრაფიის, ლიტერატურული მიმდინარეობების მიმოხილვას. მაგალითად, XX საუკუნის ქართული მწერლობის განვითარების ტენდენციების შესახებ ლექცია-საუბარი უდაოდ დააინტერესებს მოსწავლეებს. მკვლევართა დიდი ნაწილი XX საუკუნის ქართული მწერლობის ისტორიას გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან იწყებს და ხუთ პერიოდად ჰყოფს.. უმთავრესი საფუძველი, რომელსაც ამ თვალსაზრისის ავტორები ემყარებიან, XIX საუკუნის 90-იანი წლებიდან საქართველოში კაპიტალიზმის აღმავლობა, მესამე დასის დამკვიდრება და მარქსისტული იდეების გავრცელებაა. ყოველივე ამან კი, მათი აზრით, ქართული მწერლობა არსებითი განახლების სტადიაში შეიყვანა. ვფიქრობთ, ეს სტერეოტიპი უნდა დაიმსხვრეს და XX საუკუნის ქართული მწელობის ისტორია შემდეგნაიერად დაიყოს: 1.XX საუკუნის დასაწყისი 20-იან წლებამდე, 2.1921 – 1939 წლები,3.40 – 50 - იანი წლები,4.1960 - დან 1990 - იან წლებამდე პერიოდი, 5.1991 – 2000 წლები.

XX საუკუნის დასაწყისში ასპარეზიდან წავიდნენ ქართული მწერლობის კორიფეები (ილია, აკაკი, ვაჟა...), სამაგიეროდ, ლიტერატურის ყველა ჟანრში გამოჩდნენ ევროპაში განათლებამიღებული ახალგაზრდები, რომლებმაც ბევრი სიახლე შემოიტანეს და შეეცადნენ, ქართულ სინამდვილესთან შეესისხლხორცებინათ მსოფლიო მწერლობის მოტივები.

1905-1907 წლების რევოლუციის დამარცხებას ორიგინალურად შეეხმიანენ ქართველი სიმბოლისტები, რომელთაც ასპარეზი დაუთმო ჟურნალმა „ფასკუნჯმა“. სწორედ აქ დაიბეჭდა სანდრო შანშიაშვილის მიერ თარგმნილი ედგარ პოს „შავი ყორანი“.

10-იან წლებში ქართული პოეზიის რეფორმატორად გვევლინება გალაკტიონ ტაბიძე. ორიგინალურია კონსტანტინე გამსახურდიას თვალთახედვა და წერის მანერა. საზოგადოებრივი აზროვნება გვარიანად შეანჯღრიეს „ცისფერყანწელებმა“, რომელთა სახელსაც უკავშირდება ევროპული მოდერნიზმის შემოტანა ჩვენს მწერლობაში. განსჯის საგნად იქცა ჟურნალ „ცისფერ ყანწებში“ გამოქვეყნებული პაოლო იაშვილის საპროგრამო წერილი „პირველი თქმა“ და ტიციან ტაბიძის სტატია „ცისფერი ყანწებით“.

მიუხედავად წინააღმდეგობებისა, რომლებითაც „ცისფერყანწელთა“ მოღვაწეობა ხასიათდება, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ ჯგუფის მთავარმა წარმომადგენლებმა, ტიციან ტაბიძის შეფასებით, ხელი შეუწყვეს ქართული ლექსის ევროპული რადიუსით გამართვას. პირველად მათ შემოიტანეს ქართულ პოეზიაში სიტყვები, რომლებიც განდევნილი იყო და აღარ იხმარებოდა. პირველად დაიწერა ნამდვილი სონეტი, ტერცინები, ტრიოლეტები. ახალი გასაქანი მიეცა რითმას.

ბოდლერის, რემბოს, ვერლენის, პოსა და სხვათა შემოქმედების თარგმანებმა გააფართოვა პოეტური თემებისა და სახეების არიალი.

1916 წლიდან ცისფერყანწელებმა რამდენიმე ჟურნალი და გაზეთი გამოსცეს: "მეოცნებე ნიამორები", "მშილდოსანი", "ბარრიკადი","რუბიკონი", "ბახტრიონი", კირჩხიბი". პაოლო იაშვილმა, ტიციან ტაბიძემ, ვალერიან გაფრინდაშვილმა, გიორგი ლეონიძემ, კოლაუ ნადირაძემ, სერგო კლდიაშვილმა და სხვებმა ახლებური ჟღერადობა მისცეს მწერლობას და მიზნად დაისახეს ბრძოლა პროვინციული შეზღუდულობისა და კარჩაკეტილობის წინააღმდეგ.

ეროვნული ლიტერატურული ტრადიციებისა და ევროპული მოდერნიზმის ბუნებრივი შერწყმა ჩანს ტიციანის შემდეგ სტრიქონებში:"გაფიზის ვარდი მე პრუდონის ჩავდე ვაზაში, ბესიკის ბაღში ვრგავ ბოდლერის ბოროტ ყვავილებს."

იგივეს იმეორებს გიორგი ლეონიძეც:"არტურ რემბოსთან ბოროტ ტყუპად ჩახუტებული,მადგამენ გვირგვინს თეიმურაზ და ჭავჭავაძე".

„ციფერყანწელთა" დაჯგუფების მიღმა მყოფმა გალაკტიონმა ხარკი მოუხადა ევროპულ მოდერნიზმს და თავისი შედევრების დიდი ნაწილი სწორედ ამ გავლენითაა შექმნილი.

XX საუკუნის მწერლობის პირველმა პერიოდმა მყარი საფუძველი შექმნა რომანის, როგორც ჟანრის, კლასიკური სახით ფორმირებისათვის. ვასილ ბარნოვი, შიო არაგვისპირელი, ლეო ქიაჩელი, კონსტანტინე გამსახურდია, მიხეილ ჯავახიშვილი, გრიგოლ რობაქიძე... ქართული რომანის კორიფეები არიან. დამკვიდრდა მცირე ფორმის ჟანრული სახეობები: ეტიუდი, ესკიზი, მინიატურა, ნოველა (შიო არაგვისპირელი, ჭოლა ლომთათიძე, ნიკო ლორთქიფანიძე, მიხეილ ჯავახიშვილი, ლეო ქიაჩელი, შალვა დადიანი, სერგო კლდიაშვილი...); ჩნდება ახალი პოეტური ფორმები: სონეტი, ვერლიბრი, ტრიოლეტი, თეთრი ლექსი (ტიციან ტაბიძე, ალექსანდრე აბაშელი, იოსებ გრიშაშვილი, სანდრო შანშიაშვილი). პერსპექტიული ხდება დრამატურგია (დავით კლდიაშვილი, შალვა დადიანი, პოლიკარპე კაკაბაძე...). მძლავრი ნაბიჯებია ლიტერატურულ კრიტიკაში (კიტა აბაშიძე, გერონტი ქიქოძე, იპოლიტე ვართაგავა, ია ეკალაძე, რომანოზ ფანცხავა (ხომლელი), ვახტანგ კოტეტიშვილი...)

1917 წელს შეიქმნა ქართველ მწერალთა კავშირი, რომლის თავმჯდომარედ აირჩიეს ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე კოტე მაყაშვილი.

მიუხედავად იმისა, რომ პირველ პერიოდში შემოქმედებითი პრინციპებითა და მსოფლმხედველობით განსხვავებულ მწერლებთან გვაქვს საქმე, არსებობდა რამდენიმე დაჯგუფება და მიდინარეობა სიმბოლიზმი, იმპესიონიზმი ,,ექსპრესიონიზმი" და სხვ., ძირითად მიმართულებად რჩებოდა რეალიზმი.

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოკლე ეტაპზე მდგომარეობა სულ უფრო კრიტიკული ხდებოდა. წინა პლანზე წამოვიდა ეროვნული, პოლიტიკური, სოციალური და ზნეობრივი პრობლემატიკა.

1921 წლის 25 თებერვალს ,,წითელი დროშით, მოღერილ ყელით,ნაბიჯით ნელით შემოჯირითდა სიკვდილი ცელით" (კოლაუ ნადირაძე). კოჯორსა და ტაბახმელაში გაითხარა პატრიოტთა საძმო საფლავები. დამოუკიდებლობის დაკარგვის ტრაგიკული ფაქტის გამოხატვას არა ერთი შთამბეჭდავი ნაწარმოები მიეძღვნა.კიდევ უფრო გამოიკვეთა გალაკტიონის როლი.მიუხედავად პოლიტიკური არტახებისა, აუცილებლობად ქცეული ე.წ. სოციალისტური რეალიზმის პრინციპისა, ქართული მწერლობა ინარჩუნებდა რეალისტურ

ტრადიციებს შეზღუდული შემოქმედებითი თავისუფლების ფონზე. მწერლებს აიძულებდნენ სოციალისტური იდეოლოგიის მორჩილ მსახურებად ქცეულიყვნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში ქვეყნის მტრად აცხადებდნენ და პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლნი ხდებოდნენ.

მიუხედავად ყველაფრისა, შეიქმნა მ.ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნები“,“კვაჭი კვაჭანტირაძე,“ “თეთრი საყელო“, “გივი შადური“, კ.გამსახურდიას „დიონისეს ღიმილი“, “ზარები გრიგალში“, “ქოსა გახუ“, ლეო ქიაჩელის „თავადის ქალი მაია,“ “სისხლი“, „ჰაკი აძბა“; გრ.რობაქიძის „გველის პერანგი“, დემნა შენგელაიას „სანავარდო“,პოლიკარპე კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერი“,“ლისაბონის ტუსაღები“;შალვა დადიანის „კაკალ გულში“, “მღვიმეში“ და სხვ. იბეჭდებოდა პერიოდული გამოცემები:“ქართული მწერლობა“, “მნათობი“,“გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალი“,“დროშა“,“ლიტერატურული გაზეთი“ და სხვ.

ქართული მწერლობა ცდილობდა ეროვნული ტრადიციების შენარჩუნებას.შეიქმნა აკადემიურ მწერალთა ასოციაცია,რომელშიაც გაერთიანდნენ განსხვავებული ესთეტიკურ-შემოქმედებითი მრწამსის მწერლები,რომელთაც აკავშირებდათ ერთი მიზანი - ეროვნულ-სახელწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისაკენ სწრაფვა და მკვეთრად გამოხატული ანტიბოლშევიკური სულისკვეთება.

1922 წელს შეიქმნა კიდევ ერთი ლიტერატურული დაჯგუფება--ფუტურისტ-მემარცხენეთა (სიმონ ჩიქოვანი, ბესარიონ ჟღენტი, აკაკი ბელიაშვილი და სხვ.). მათ გამოსცეს ჟურნალები „H2 SO4, ”მემარცხენეობა“, ლიტერატურა“ და გაზეთი „დროული“. ეს მიმართულება პრეტენზიას აცხადებდა ქართული მწერლობის თვისობრივ განახლებაზე, რაც ფორმალისტურ ძიებათა ფარგლებს ვერ გასცდა.

ოციან წლებშივე გამოვიდა ასპრეზზე პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია („ქურა“,“პროლეტარული მწერლობა“, “მერცხალი“,“დინამიტი“,“ხელოვნების დროშა“ და სხვ.), რომლის რომლის მიზანს ხელისუფლების პოლიტიკის გატარებისათვის ბრძოლა წარმოადგენდა.ამ მიზნით ისინი ებრძოდნენ „საეჭვო“,“რეაქციონერ“ მწერლებს,კლასიკურ ლიტერატურულ მემკვიდრეობას.

1927 წელს მიხეილ ჯავახიშვილმა და გერონტი ქიქოძემ შექმნეს ახალი ლიტერატურული ასოციაცია „არიფიონი“, რომელიც სულ რაღაც რამდენიმე თვეში გააუქმა ხელისუფლებამ.

გასული საუკუნის 30-იან წლები ურჩი და განსხვავებულად მოაზროვნე მწერლების“გამოსწორების“ პერიოდად შეიძლება შევრაცხოთ. პოლიტიკური დევნა, მწერალთა კავშირიდან გარიცხვა, შემოქმედებაზე ტაბუს დადება, დაპატიმრება, დახვრეტა...აი, მეთოდები, რომლითაც საბჭოთა ხელისუფლება ებრძოდა თავისუფალ აზრს. მიუხედავად ყველაფრისა, ქართული ეროვნული მწერლობა ჯიუტად ვითარდებოდა და ქმნიდა შედევრებს, აწყობდა იუბილეებს, გამოსცემდა ჟურნალ-გაზეთებს.

40-იანი წლების ლიტერატურული ცხოვრების განვითარებაზე უდიდესი ზეგავლენა მოახდინა მეორე მსოფლიო ომმა.გარდა იმისა,რომ დაიღუპა 300 000-ზე მეტი ქართველი,განადგურდა ეკონომიკა,დაიხურა ჟურნალ-გაზეთები,შემცირდა წიგნების გამოცემის ლიმიტი,სამშობლოს დამცველთა განდიდება და ანტიფაშისტური განწყობის გამოხატვა ქართველ მწერალთა ლიტერატურულ პათოსად იქცა. მირზა გელოვანი, ლადო ასათიანი, გიორგი ლეონიძე და სხვა ქართველი მწერლები დიდ ადგილს უთმობენ ომის თემატიკას.

ახალ სახელებთან ერთად ასპარეზზე არიან გალაკტიონი, სიმონ ჩიქოვანი, ირაკლი და გრიგოლ აბაშიძეები.ყურადღებას იპყრობენ მურმან ლებანიძე,მუხრან მაჭავარიანი,ანა

კალანადაძე, ნოდარ დუმბაძე, რევაზ ინანიშვილი, არჩილ სულაკაური, რევაზ ჯაფარიძე, მიხეილ ქვლივიძე...

ომის შემდგომი პერიოდი ყველაზე რთული მაინც ლიტერატურული კრიტიკისათვის აღმოჩნდა.ძალზე რთული იყო როგორც მწერლობის,ისე იდეოლოგის სწორი შეფასება.პარტია და ხელისუფლება კვლავინდებურად აგრძელებდა აშკარა, თუ შენიღბულ ბრძოლას ეროვნული თვითშეგნების დასათრგუნავად, რუსიფიკატორული პოლიტიკის გასატარებლად. ებრძოდა ქართულ ენას,ცდილობდა ორენოვნების დამკვიდრებას და ყველაფერი ეს ინტერნაციონალიზმის დროშით კეთდებოდა.

ქართული მწერლობის სასახელოდ უნდა ითქვას,რომ იგი ყველაზე მძიმე წლებშიც კი მტკიცედ იდგა მშობლიური ენის სადარაჯოზე.70-იანი წლებიდან განსაკუთრებული ყურადღება მიექცა კრიტიკისა და ლიტერატურათმცოდნეობის განვითარებას,გამოიცა ათობით ლიტერატურული ჟურნალი.

80-იანი წლების მეორე ნახევრიდან ქართული მწერლობის განვითარებაზე დიდი ზეგავლენა მოახდინა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლეგალიზაციამ და აღმავლობამ მერაბ კოსტავასა და ზვიად გამსახურდიას მეთაურობით.ისინი ქართული მწელობის ნიჭიერი წარმომადგენლები იყვნენ. იბეჭდებოდა ქართული დისიდენტური ლიტერატურა,რაც დიდ მოქალაქეობრივ გაბედულებასთან იყო დაკავშირებული.ხალხმა სიმართლე შეიტყო 1921 წლის აჯანყების, 1956 წლის 9 მარტის, 1978 წლის 14 აპრილის შესახებ.

1988 წლის 24-29 ნოემბრის შიმშილობა, 1989 წლის 9 აპრილი,1990 წლის 26 მაისი,1991 წლის რეფერენდუმი, ის თარიღები და მოვლენებია, რომლებმაც საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა მოიტანა.90-იან წლებში საქართველოში ბევრი ტრაგიკული მოვლენა მოხდა,რაც რუსული სცენარით განხორციელდა.უმთავრესი აფხაზეთის დაკარგვა იყო, რის შედეგადაც ასიათასობით ქართველი თავისსავე სამშობლოში ლტოლვილად იქცა.

ზემოაღნიშნულმა მოვლენებმა პოლიტიზირებული გახადა ქართული მწერლობა.ბევრმა მწერალმა მძაფრად წარმოსახვა ქვეყნის საჭირბოროტო პრობლემები. განსაკუთრებული ადგილი დაიმკვიდრა პუბლიცისტიკამ. სამწერლო ასპარეზზე გამოვიდნენ ახალგაზრდა ნიჭიერი მწერლები, რომლებმაც ახალი მხატვრულ-ესთეტიკური თვალთახედვა მოიტანეს - აკა მორჩილაძე, ლაშა ბუღაძე, დავით ტურაშვილი,დავით მაღრაძე, რატი ამაღლობელი და სხვ.

ხელმისაწვდომი გახდა იძულებით ემიგრაციაში მყოფი მწერლების: გრ.რობაქიძის, გ.ყიფიანის, ა.პაპავასა და სხვათა შემოქმედება,აგრეთვე უცხოეთში გამოცემული წიგნები და ემიგრანტული პრესა.ცენზურის მოხსნამ შესაძლებელი გახადა საბჭოთა პერიოდში აკრძალული ნაწარმოებებისა და საარქივო მასალების გამოქვეყნება, რის შედეგადაც ახლებურად შეფასდა მიხეილ ჯავახიშვილის, გალაკტიონის, ტიციანის, კონსტანტინე გამსახურდიას, ლეო ქიაჩელის, ლევან გოთუას, იოსებ გრიშაშვილისა და სხვათა შემოქმედება.

სასკოლო-ლექციური მეთოდის გამოყენებისას პედაგოგს ნათლად უნდა ჰქონდეს გამოკვეთილი გეგმიანობა და მიზანი.საუბარი ამა თუ იმ მიმოხილვითი ხასიათის თემაზე უნდა გამოირჩეოდეს მეცნიერული გამართულობით,შინაარსის სიმდიდრითა და მისაწვდომობით, ენობრივი დახვეწილობით კონკრეტულობითა და დამაჯერებლობით, თვალსაჩინოებითა და სიღრმით.განსაკუთრებით ეფექტურია

სასკოლო ლექციის გამოყენება ლიტერატურის ისტორიის ეტაპებისა და ლიტერატურულ მიმდინარეობათა მიმოხილვის დროს.

ზოგადმიმოხილვითი ლექციების რანგში გადის მწერლის შემოქმედებითი ბიოგრაფიის შესახებ მასწავლებლის საუბარი,რომელსაც სერიოზული მოთხოვნები წაეყენება:

1.იდეურ-მეცნიერული და პედაგოგიურ-მეთოდიკური გამართულობა

2.ნათლად გამოკვეთილი მიზანდასახულობა

3.გეგმიანობა,სისტემატურობა და თანმიმდევრობის მკაფიო ლოგიკა

4.მეტყველების სიცხადე,სისწორე და ემოციურობა

5.შინაარსის სიმდიდრე და მისაწვდომობა

6.ენობრივი დახვეწილობა და სურათოვნება

7.კონკრეტულობა და დამაჯერებლობა

8.თვალსაჩინოება და სიღრმე

მასწავლებელი ვალდებულია მოფიქრებულად შეადგინოს ლექციის გეგმა, რომელიც უნდა ასახავდეს საკითხების გაშლის თანმიმდევრობასა და ლოგიკურ მთლიანობას. გეგმა უდა მოიცავდეს განსახილველ მთავარ საკითხებს, გამოირჩეოდეს როგორც შესავალი, ისე ძირითადი და დასკვნითი ნაწილით. მნიშვნელოვანია თვალსაჩინოების გამოყენებაც.

ზოგადმიმოხილვითი ლექცია-შესავალი ამა თუ იმ მწერლის ცხოვრებისა და ლიტერატურულ-საზოგადოებრივი მოღვაწეობის ან შემოქმედებითი გზის შესახებ გულისხმობს მწერლის შემოქმედების სწავლების პროცესთან დაკავშირებულ სხვა მნიშვნელოვან საკითხთა ანალიზსაც.

წარმოგიდგენთ შესავალი ლექციის გაშლილ გეგმას დ.კლდიაშვილის ცხოვრებისა და შემოქმედებითი გზის შესახებ.

1. შესავალი

ა) დ.კლდიაშვილი ქართული ლიტერატურის კლასიკოსი

1. ძირითადი ნაწილი

ა)დაბადების ადგილი, დრო, ბავშვობა, სოციალური წარმოშობა

ბ) სწავლა-განათლება (პირველდაწყებითი სწავლა)

გ) მრევლოვის ორკლასიან სასწავლებელი

დ) კიევის სამხედრო გიმნაზიაში სწავლის პერიოდი

ე) მოსკოვის სამხედრო სასწავლებელი

2. ბათუმში სამსახურის პერიოდი

ა) ბათუმის იმდროიდელი სახე

ბ)დ.კლდიაშვილის მონაწილეობა ბათუმის კულტურულ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში

გ) დ.კლდიაშვილი - სამხედრო მოსამსახურე

დ) პავლე მაჭავარიანის ოჯახი

ე)სამწერლო მოღვაწეობის დასაწყისი: თარგმანები, პირველი მოთხრობები

4. 1905 წლის რევოლუცია და დ.კდიაშვილი

ა) მწერლის დამოკიდებულება რევოლუციისადმი

ბ) საბა კლდიაშვილის გარდაცვალება და დასაფლავებაში დავითის მონაწილეობა

გ) დაღესტანში გადასახლება

დ) სამხედრო სამსახურიდან დათხოვნა

5. დ.კლდიაშვილი ქუთაისში

6. დ.კლდიაშილი და 1914 წლის იმპერიალისტური ომი

7. დ.კლდიაშვილის მოღვაწეობა საბჭოთა პერიოდში

ა) სამწერლო და საზოგადო მოღვაწეობა

ბ) დ.კლდიაშვილი და ქართული თეატრი

გ) მშობლიურ სოფელ სიმონეთში(ბოლო წლები)

დ) სახალხო მწერლის წოდების მინიჭება,იუბილე

8.დ.კლდიაშვილის გარდაცვალება

9.დ.კლდიაშვილი სცენასა და ეკრანზე

10.დავით კლდიაშვილის მხატვრული მემკვიდრეობის შესწავლა და შეფასება თანამედროვე პირობებში.

დავით კლდიაშვილს საპატიო ადგილი უჭირავს ქართული კლასიკური ლიტერატურის ისტორიაში.იგი ცნობილია,როგორც იმერეთის გაღატაკებულ აზნაურთა ყოფის ამსახველი მწერალი სამოღვაწეო ასპარეზზე მაშინ გამოვიდა, როდესაც საქართველოში ფეხს იკიდებდა სამრეწველო კაპიტალიზმი, რამაც შეარყია თავადაზნაურობის ეკონომიკური მდგომარეობა და კატასტროფის წინაშე დააყენა წვრილი აზნაურობა.

დ. კლდიაშვილის პერსონაჟებს გამოცლილი აქვთ ეკონომიკური საფუძველი. მწერალმა, თვითონაც გაღარიბებული აზნაურის ოჯახის წარმომადგენელმა „უკვე ბავშვობაშივე შეისრუტა თავის არსებაში ის ჰაერი, რომლითაც სუნთქავდნენ მისი მომავალი მოთხრობების გმირები და გულმა უკვე იგრძნო ყველაფერი ის, რაც შემდეგში უფრო ნათლად დაინახა“ [3:.8].

იმ სამყაროსა და ადამიანების ზედმიწევნით ცოდნა,რომელთა ცხოვრებასაც მწერალი აღწერდა,დაეხმარა მას მახვილი თვალით შეჭრილიყო სინამდვილეში და უმნიშვნელო ეპიზოდებისგანაც კი შეექმნა ცხოვრების მთლიანი, ნამდვილი სურათები. კრიტიკული რეალიზმი იმთავითვე გადაიქცა დ.კლდიაშვილის უმთავრეს შემოქმებით მეთოდად . თვითონ მწერალმა მემუარებში „ჩემი ცხოვრების გზაზე“ აღნიშნა,რომ მის შემოქმედებით პრინციპს წარმოადგენდა „მხოლოდ სინამდვილე, რომელსაც განუხრელად ემსახურებოდა თავისი მწერლობის მთელ მანძილზე“. კლდიაშვილის მოთხრობებში აისახა ნატურალური მეურნეობის რღვევა,აზნაურული წოდების დაცემა-გაღატაკება, მატერიალური და სულიერი კრიზისი, გლეხობისა და წვრილი აზნაურობის გაპროლეტარება, მათი სწრაფვა ქალაქისაკენ.მან შეძლო მკითხველისათვის დაენახვებინა მაშინდელი იმერეთის ხატოვანი სურათი.

მწერლის ოჯახური წრის დასახასიათებლად მოსწავლეებს უნდა მივაწოდოთ ცნობები მისი წინაპრების შესახებ. დადასტურებულია, რომ კლდიაშვილები მესხეთიდან ყოფილან გადმოსახლებული და წინანდელი გვარი შალიკაშვილი ყოფილა.უდაოდ საინტერესო იქნება იმ დოკუმენტის გაცნობა,რომელშიაც საუბარია იმის შესახებ, თუ რა დამსახურების გამო უბოძეს „გვირგვინოსანმან მეფემან პატრონმამ გიორგი და თანამეცხედრემან დედოფალთ-დედოფალმან რუსუდან ესე წყალობის საიმედო წიგნი კლდია შალიკაშვილს,მის შვილს გოგიჩას და შალიკას და ზაქარიას და ბენიანიმ, სხვათა მათთა შვილთა და მომავალთა“.

(ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა და გურია-ოდიშის სამთავროებისა. თბ,,1959. საბუთი #8727,გვ.17).

მესხეთიდან წამოსულ მეფე-დედოფალს თან წამოჰყოლია კლდია შალიკაშვილი ცოლ-შვილითა და ქონებით და სოფელ სიმონეთში მოუნდომებია დასახლება, მეფისაგან კი აზნაურის წოდება მიუღია ქვეყნისა და მეფის ერთგულებისათვის.

დ.კლდიაშვილის მშობლების შესახებ დამატებითი ცნობების მიწოდება შეგვიძლია მწერლის მემუარებიდან“ ჩემი ცხოვრების გზაზე“და ს.კლდიაშვილის მოგონებებიდან.

დ.კლდიაშვილის ბავშვობის მოგონებები აღსავსეა ბაბუების ოჯახებში გაზრდილი,თუ მათთან დაახლოებული გლეხების სახეებით.მომავალი მწერლის სწავლა -განათლების შესახებ ცნობებს გვაწვდის მისივე მემუარები.მოსწავლეებს უნდა წავუკითხოთ როგორც მრევლოვის ორკლასიან სასწავლებელში,ასევე კიევის სამხედრო გიმნაზიაში გატარებული წლების შესახებ.ხაზი უნდა გავუსვათ იმ გარემოებას,რომ სწავლა-აღზრდის მაშინდელი სისტემის წყალობით დ.კლდიაშვილს დაავიწყდა მშობლიური ენა და სოფელში დაბრუნებულს მშობლებთან სალაპარაკოდ თარჯიმანი დასჭირდა.რა თქმა უნდა, მან სოფელში ყოფნისას ენაც გაიხსენა და კიევში დაბრუნებისას თან წაიღო წიგნები და კიევის სასულიერო აკადემიის ქართველი სტუდენტების დახმარებით კარგადაც გაიწაფა ქართულ მეტყველებაში.

კიევის სამხედრო გიმნაზიის დასრულების შემდეგ დ. კლდიაშვილმა სწავლა განაგრძო მოსკოვის სამხედრო სასწავლებელში,რომელიც ორ წელიწადში დაასრულა და სამუშაოდ გაამწესეს ბათუმში, რომელიც მაშინ პატარა ქალაქი იყო ოთხიათასი

მოსახლითა და ზღვისპირა ქოხმახებით. რკინიგზის გაყვანამ და თბილისთან დაკავშირებამ, აგარაკების შენებამ, ცოტა გამოასწორა სიტუაცია.საზოგადო საკრებულო, სამოქალაქო სასწავლებელი და ქართული სკოლა იყო საზოგადოების თავშეყრის ადგილი.ბათუმში ჩამოსვლა დაიწყეს ქართველმა მსახიობებმა.აქ გაეცნო იგი ვასო აბაშიძეს,ალექსანდრე ყაზბეგს.გიორგი წერეთელს, ალექსანდრე წულუკიძეს,გრიგოლ ვოლსკის და აქტიურად ჩაება საზოგადოებრივ და კულტურულ საქმიანობაში.მისი მონაწილეობით მოეწყო უფასო სკოლა ღარიბებისათვის, საკვირაო სკოლა მუშებისათვის და სხვ.

დ.კლდიაშვილმა ცხოვრების დიდი ნაწილი მეფის არმიაში გაატარა. მისთვის მიუღებელი იყო იქ გაბატონებული რეჟიმი. თავად ლმობიერად ეპყრობოდა ჯარისკაცებს,რის გამოც ხშირად კონფლიქტი ჰქონდა უფროსობასთან.ამას დაემატა ოდესაში მოკლული ახალგაზრდა მეცნიერის საბა კლდიაშვილის რევოლუციურ დასაფლავებაში მონაწილეობა, როშტილდის ქარხნის მუშების გაფიცვის დარბევაზე უარი და სხვა გარემოებებიც,რის გამოც დავითმა თავი დაანება სამხედრო სამსახურს.

1892 წელს დავითმა გაიცნო პავლე მაჭავარიანის ოჯახი და ცოლად შეირთო პავლეს ასული მარიამი. შემლებული აზნაურის სახლში გამოულეველ სტუმართაგან დანახული ბევრი ადამიანი გახდა მწერლის პერსონაჟთა პროტოტიპი..როგორც მწერალი იგონებს, თავისი პირველი ნაწერი გრიგოლ ვოლსკისა და ალექსანდრე აბაზაძეს წაუკითხა, რომელთა რჩევით, ეს კორესპონდენცია გადააკეთა და მისგან ორი მშვენიერი მოთხრობა გამოჩარხა - „შერისხვა“ და „მსხვერპლი.“ სასურველია მოსწავლეებს ისიც ვუთხრათ,რომ დ.კლდიაშვილმა ლიტერატურული მოღვაწეობა თარგმანებით დაიწყო,მაგრამ ნიკო ლომოურის მოთხრობა „ალი“ ჟურნალმა „რუსკი ვესტნიკი“ არ დაბეჭდა, რადგან დაუჯერებლად ცნო მასში მოთხრობილი ამბავი.დამწყები მწერალი თარგმნიდა გერმანულიდან და ფრანგულიდანაც.

დ. კლდიაშვილის შემოქმედების ადრეული პერიოდის გასაცნობად საუკეთესო მასალას იძლევა მისივე მემუარები.სასურველია მოსწავლეებს დავავალოთ შესაბამისი ადგილების შინ წაკითხვა. წარმატება მოჰყვა მწერლის მომდევნო მოთხრობებსაც _ „სოლომან მორბელაძე“,“წრფელი გული“,“სამანიშვილის დედინაცვალი“, “მრევლში“, “ქამუშაძის გაჭირვება,“ „მიქელა;“პიესებს „ირინეს ბედნიერება“ და „დარისპანის გასაჭირი“.მოგვიანებით იბეჭდება „როსტომ მანველიძე“,მშობლის ნუგეში“,“ბაკულას ღორები“,“უბედურება“.

მოსწავლეებს უნდა მივაწოდოთ ინფორმაცია 1914 წლის მსოფლიო ომსა და მასში დ.კლდიაშვილის მონაწილეობის, შემდგომ თბილისში დაბრუნების და ბოლოს ქუთაისში მოღვაწეობის შესახებ.

ათწლიანი პაუზის შემდეგ მკითხველმა იხილა მწერლის ორი ახალი მოთხრობა - „კიმოთე მეშველიძე“ და „შუა ცეცხლის პირას“, რომლებშიაც მან გვიჩვენა ადამიანთა შეგნების გარდაქმნის პროცესი.სოფლად გაიფანტა ცრურწმენის ღრუბელი. 1925 წელს დაისტამბა დ.კლდიაშვილის ბოლო ნაწარმოები,მემუარები „ჩემი ცხოვრების გზაზე“,რომელიც მისი ცხოვრებისა და შემოქმედებითი გზის მოსწავლეთათვის გაცნობის ძირითადი წყაროა.სიცოცხლის ბოლო წლები დავითმა მშობლიურ სოფელში გაატარა.1930 წელს მას იუბილე გადაუხადეს და სახალხო მწერლის წოდება მიანიჭეს.

მოსწავლეთათვის ინერესმოკლებული არ იქნება,თუ მასწავლებელი ისაუბრებს მწერლის კავშირზე თეატრსა და კინოსთან.მისი პიესები იდგმებოდა და იდგმება სხვადასხვა თეატრის სცენაზე.“დარისპანის გასაჭირის“ მიხედვით გ.ჩლაიძემ შექმნა საოპერო სპექტაკლი.დავითის ნაწარმოებების მიხედვით გადაღებულია ფილმები.

დ. კლდიშვილი გარდაიცვალა 1931 წლის 24 აპრილს.მისი ცხედრის თბილისში გადმოსვენებისა და მთაწმინდის პანთეონში დაკრძალვის ცერემონიალის შესახებ მოსწავლეებს უნდა გავაცნოთ მწერლის ვაჟის, სერგო კლდიაშვილის, მოგონებები „ცხოვრების დიდ გზაზე“ წიგნიდან „ორფეოსი“ [3:186]

ზოგადმიმოხილვით ლექციებს საშუალო საფეხურზე მნიშვნელოვანი ფუნქცია აკისრიათ. ისინი ხელს უწყობენ მოსწავლეთა დაინტერესებას ამა თუ იმ ეპოქის,ლიტერატურული მიმდინარეობებისა თუ მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ ცოდნის გაღრმავებას, შესასწავლი ლიტერატურული ნაწარმოებისადმი ინტერესის გაზრდას.

ლიტერატურა:

1.თოფურია აკ.(1991)ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკა. სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი.

2.ეროვნული სასწავლო გეგმ.2011-2016).თბილისი.

3. კლდიაშვილი ს.(1966).ცხოვრების დიდ გზაზე. წიგნში- ორფეოსი. ლიტერატურული მოგონებანი. გამომცემლობა მერანი.თბილისი.

4.სწავლებისა და სწავლის ახალი მიდგომები(2005).საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.თბილისი.

5.საყვარელიძე რ.(2004).ლიტერატურის სწავლება და მისი ფსიქოლოგიური საფუძვლები. სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.თბილისი.

6.ღვინიანიძე თ.(2022).ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკა(მე-5,მე-12 კლასები).აკ.წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.ქუთაისი.

Tamar Gvinianidze
Akaki Tsereteli State University
Kutaisi, Georgia

Lectures of a general review nature in the teaching of Georgian Literature

Abstract

The article reviews the history of the development of Georgian literature from the beginning of the XX century to the present day. Work analysis of all literary currents is given.